

სახაზინო სამსახურის
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
საქართველოს 2017 წლის იანვარ-ნოემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის
შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი
საღდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2017 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 10 434 920.6 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 8 863 031.8 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 72 403.7 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 71 562.1 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 1 427 923.1 ათასი ლარი.

2017 წლის იანვარ-ნოემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (8 863 031.8 ათასი ლარი) შეადგინა წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობის (9 489 460.0 ათასი ლარი) 93%;

– გადასახადების წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 8 820 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 8 199 697.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 93%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 251 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 046 495.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.7%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 570 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 352 271.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 91.5%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ (694 224.3 ათასი ლარი) შეადგინა წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობის (681 000.0 ათასი ლარი) 101.9%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 7.5 ათასი ლარი.

– წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 5 406 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5 072 714.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.8%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 779 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 759 813.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 99.5%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 312 901.0 ლარი, რაც გეგმის (1 627 000.0 ათასი ლარი) 80.7%-ია;

– წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 76 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 64 650.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 81.5%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-ნოემბერში შეადგინა 15 829.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (87 000.0 ათასი ლარი) 18.2%-ია.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 284 460.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 307 199.4 ათასი ლარი (რაც გეგმის 108%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 114 410.5 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 72 157.1 ათასი ლარი;

– „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის, 34-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი – 43 652.1 ათასი ლარი მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 17 504.1 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– 30 03 კოდზე არასწორად ჩარიცხული თანხა – 0.6 ათასი ლარი, (რომელიც უნდა ჩარიცხულიყო კოდზე 32 71 – მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა);

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 59 475.0 ათასი ლარი (მათ შორის, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 3 778.8 ათასი ლარი).

„სხვა შემოსავლების“ წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 385 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 356 134.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 92.5%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების

სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 12 354.9 ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2017 წლის იანვარ-ნოემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (72 403.7 ათასი ლარი) შეადგინა წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობის (90 000.0 ათასი ლარი) 80.4%;

მათ შორის:

- შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (36 664.0 ათასი ლარი) შეადგინა წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობის (58 000.0 ათასი ლარი) 63.2%;
- არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (35 705.6 ათასი ლარი) შეადგინა წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობის (32 000.0 ათასი ლარი) 111.6%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის წლიური გეგმის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 640.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 182%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 32 053.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (30 000.0 ათასი ლარი) 106.8%;

„სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივებიდან“ მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-ნოემბერში შეადგინა 12.6 ათასი ლარი.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 71 562.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (85 000.0 ათასი ლარი) 84.2%-ია.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 1 427 923.1 ათასი ლარი (რაც საპროგნოზო მოცულობის – 1 792 715.0 ათასი ლარის 79.7%-ია);

მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 372 979.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (400 000.0 ათასი ლარი) 93.2%-ია;
- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 1 054 943.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (1 392 715.0 ათასი ლარი) 75.7%-ია; მათ შორის:
- საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები - 760 611.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (922 715.0 ათასი ლარი) 82.4%-ია; მათ შორის:

- ინვესტიციური კრედიტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 457 925.7 ათასი ლარი;

- სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 302 685.5 ათასი ლარი.

- საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 294 332.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (470 000.0 ათასი ლარი) 62.6%-ია.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 367 513.4 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2017 წლის იანვარ-ნოემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 684.6 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2017 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 704 146.0 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 703 544.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 601.4 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 208.3 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 393.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2017 წლის 1 დეკემბრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 1 128 994.3 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 1 128 477.9 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 516.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015

წლის 15 იანვრის #29-ე განკარგულების თანახმად, სულ 135 002.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის #301-ე დადგენილების „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“, თანახმად, ხაზინის განკარგულებაში არსებული სახსრებიდან, 470 000.0 ათასი ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 424 848.3 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2017 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 8 863 031.8 ათასი ლარის მოცულობით (წლიური გეგმა 9 489 460.0 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 8 165 261.9 ათასი ლარი (წლიური გეგმა 9 199 960.7 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 697 769.8 ათასი ლარი, წლიური გეგმა 289 499.3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 730 205.8 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით 72 403.7 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 802 609.5 ათასი ლარი.

2017 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -32 435.9 ათასი ლარი (უარყოფითი), წლიური გეგმა -577 828.2 ათასი ლარი (უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016 წლის 30 დეკემბრის #348 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2017 წლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 11 415 475.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 10 338 300.0 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 1 077 175.0 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 10 580 028.0 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 10 010 072.3 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 9 034 992.5 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 975 079.8 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 94.6%, ხოლო გეგმის 87.7%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2017 წლის იანვარ-ნოემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 90.3%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 9.7%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის #738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-ნოემბერში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1 380 949.3 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 363 634.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 250 049.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 90.5%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2017 წლის გეგმით განსაზღვრულია 1 206 052.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 1 125 583.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 063 374.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94.5%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 88.2%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2017 წლის გეგმით გათვალისწინებულია 503 049.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 454 941.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 445 370.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.5% და ვალდებულების 97.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 229 553.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (239 124.6 ათასი ლარი) 96%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 215 817.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (215 817.2 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2017 წლის გეგმამ შეადგინა 468 497.8 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 428 478.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 415 245.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.9%-ს და გეგმის 88.6%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2017 წლის გეგმით განისაზღვრა 46 865.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 44 635.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.2% და ვალდებულების (45 392.1 ათასი ლარი) 98.3 %ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2017 წლის გეგმამ შეადგინა 1 186 400.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 024 833.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 042 560.1 ათასი ლარი) 98.3% და საგეგმო მაჩვენებლის 86.4%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2017 წლის იანვარ-ნოემბერში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 775 367.7 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (780 588.3 ათასი ლარი) 99.3%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2017 წლის იანვარ-ნოემბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 3 013 954.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (3 256 285.1 ათასი ლარი) 92.6% და საგეგმო პარამეტრის (3 315 165.3 ათასი ლარი) 90.9%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის გეგმით განისაზღვრა 2 431 849.6 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 2 191 089.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.1%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 544 071.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 679 794.1 ათასი ლარი) და გეგმის 91.9%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 677 559.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 592 712.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.5% და ვალდებულების (677 518.9 ათასი ლარი) 87.5%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 834 814.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 778 351.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.2% და ვალდებულების (779 183.4 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2017 წლის გეგმა განისაზღვრა 1 139 846.1 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 039 184.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 952 433.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.7%-ს და გეგმის 83.6%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 575 500.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 526 034.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.4% და ვალდებულების (674 000.6 ათასი ლარი) 91.6%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2017 წლის გეგმით განისაზღვრა 957 327.5 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 814 572.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 802 609.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.5%-ს და გეგმის 83.8%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 637 533.7 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 577 617.5 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (577 267.9 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 90.5%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“, 2017 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 731 958.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული

მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 632 579.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 628 058.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.3%-ს და გეგმის 85.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 20 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 20 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ია; სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისა და ტექნიკის შეძენისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 25 500.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (35 000.0 ათასი ლარი) 72.9% და ვალდებულების 100%-ია.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2017 წლის გეგმით განსაზღვრულია 526 228.7 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 422 208.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 414 142.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.1%-ს და გეგმის 78.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 362 029.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (362 029.4 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 52 113.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (60 179.1 ათასი ლარი) 86.6%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 81 762.5 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 2 996.6 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 41 462.7 ათასი ლარი;
- „ქუთაისის წყალარინების პროექტი“ – 43.2 ათასი ლარი;
- „ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა“ – 37 260.1 ათასი ლარი.

„სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2017 წლის პირველი დეკემბრისთვის შეადგინა 344.1 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2017 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 8 967 871.4 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 637 692.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 913 173.6 ათასი ლარი) 85.6%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 302 066.6 ლარი, რაც გეგმის (375 349.8 ათასი ლარი) 80.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 18.4%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 445 321.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (503 000.0 ათასი ლარი) 88.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 27.2%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის გეგმით გათვალისწინებულია 677 964.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 599 010.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (8 967 871.4 ათასი ლარი) 6.7%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2017 წლის გეგმით განსაზღვრულია 1 041 613.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 912 071.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.2%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 511 605.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (565 693.5 ათასი ლარი) 90.4%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (98 920.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (128 651.4 ათასი ლარი) 76.9%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 110 331.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (131 076.2 ათასი ლარი) 84.2%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2017 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1 434 307.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 253 057.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.4%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (61 324.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (87 647.4 ათასი ლარი) 67%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (158 314.9 ათასი ლარი), გეგმის (183 745.2 ათასი ლარი) 86.2% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 921 692.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 830 575.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90.1%.

გარემოს დაცვის ხაზით 2017 წლის გეგმით გათვალისწინებულია 60 750.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 55 264.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2017 წლის გეგმით გათვალისწინებულია 32 910.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა

შეადგინა 17 741.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 53.9%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 8 540.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 5 561.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 65.1%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2017 წლის გეგმით განსაზღვრულია 995 664.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 930 136.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.4%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 704 072.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (666 883.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 94.7%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (145 712.2 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (150 331.2 ათასი ლარი) 96.9%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 33 752.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (37 535.1 ათასი ლარი) 89.9%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 236 119.5 ათასი ლარით, რაც 2017 წლის გეგმიური მაჩვენებლის 251 737.2 ათასი ლარი) 93.8%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 47 554.8 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (43 537.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 91.5%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებულია 1 181 625.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 008 111.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.3% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.2%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 536 321.9 ათასი ლარი, რომელიც გეგმის 589 623.4 ათასი ლარი) 91%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 117 015.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (150 271.1 ათასი ლარი) 77.9%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით წლიური გეგმით განსაზღვრულია 2 567 541.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 318 666.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 25.9%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 710 222.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 570 089.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 91.8%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 604 476.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (694 064.6 ათასი ლარი) 87.1%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ასოცდაერთ შემთხვევაში შეადგინა სულ 4 057.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 3 693.1 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2017 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 364.5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხმოცდახუთ შემთხვევაში შეადგინა სულ 47 076.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 41 151.8 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 დეკემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 5 924.4 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ჩვიდმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 206 548.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 183 263.0 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 დეკემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 23 285.1 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამ შემთხვევაში შეადგინა სულ 20 500.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 11 771.6 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 დეკემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 8 728.4 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 58 543.1 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 49 657.3 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 16 442.2 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 12 784.0 ათასი ლარი, (მათ შორის, „საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აღწერის ნაწილის გადახდა - 12 777.2 ათასი ლარი).

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 40 000.0 ათასი ლარი. აქედან, ვალდებულებების კლების მუხლით: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 26 732.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 26 732.1 ათასი ლარი), სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 422.5 ათასი ლარი(საკასო ხარჯი – 422.5 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 12 845.3 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 6 169.3 ათასი ლარი).

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 2 523.5 ათასი ლარი, ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 3 972.0 ათას ლარს, მათ შორის, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 1 476.8 ათას ლარს.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 6 169.3 ათასი ლარი, რაც

გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2017 წლის იანვარ-ნოემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.